შემოსვლის თარიღი: 15/06/2022 წ

გასვლის თარიღი: 15/06/2022 წ

## დასკვნა

ქ.ბათუმში, მამია ვარშანიძის I ჩიხში მდებარე #33 საბავშვო ბაღის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. შენობა განიცდის მნიშვნელოვან დეფორმაციას, რომლის ინტენსიური პროგრესირების პირობებში მოსალოდნელია მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის დაკარგვა და შენობის კონსტრუქციული რღვევა, რის გამოც არსებული სახით მისი ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია და დაუშვებელია. დეფორმაციების გამომწვევი მიზეზის ზუსტი დადგენისათვის, საჭიროა გადამოწმდეს შენობის დაფუძნების პირობები (ჩაუტარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა) და მიღებული შედეგების გათვალისწინებით გადამოწმდეს შენობის საპროექტო დოკუმენტაცია. შენობის გამაგრებითი სამუშაოების შესრულების რენტაბელურობის საკითხი უნდა იქნას განხილული მისი გამაგრების პროექტის მიხედვით შედგენილი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე.

ალექსანდრე კაიფანჯიანი